პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2017 წელი

ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზურა ავალიშვილის ქუჩასთან მდებარე საჩოგბურთო კომპლექსისთვის ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ზურა ავალიშვილის ქუჩასთან მდებარე საჩოგბურთო კომპლექს მიენიჭოს ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ა(ა)იპ „ზევსი"
ს/კ 404491082
საქართველო, ქ. თბილისი
მის: თიანეთის გზატკეცილი 25

ZEVSI

N(N) LE „ZEVSI"
ID 404491082
Tbilisi, Georgia
25 Tianeti Higway

024767 ზევსი

№ 59 08 სექტემბერი 2016წ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისი

თავჯდომარეს ლია ჯახველა

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიუ ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულ 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფ მიერ, დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ გეოგრაფიუ ობიექტზე სახელდება დასაშვებია გეოგრაფიული ობიექტის მესაკუთრე საჯარო სამართ იურიდიული პირის ან/და მისი დამფუძნებლის მომართვით ან/და თანხმობის შემთხვევაში.

მოგმართავთ თხოვნით, თქვენი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ,განახორციელ ჩვენს საკუთრებაში არსებული უძრავის ქონების (საკადასტრო კოდი 01.14.14.005.219) ალექსან მეტრეველის სახელის მინიჭება.

პატივისცემით,

დირექტორი თ. ტყეშელაშვილი

თ. ტყეშელაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარა
№ 07/16184
"08" სექტემბერი 2016
ფურცლის რაოდენობა 1 ფურცელ
0105, თავისუფლების მოედანი №2



ალექსანდრე მეტრეველი

ჩოგბურთელი

ქართული სპორტის ლეგენდა ალექსანდრე მეტრეველი დაიბადა 1944 წლის 2 ნოემბერს ქ.თბილისში. ის გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ჩოგბურთის მსოფლიო ვარსკვლავი გახლდათ, საბჭოთა კავშირში კი კონკურენტი, როგორც ასეთი, არ ჰყოლია. მეტრეველი დღემდე ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელია, რომელმაც დიდი სლემის, უიმბლდონის ტურნირის ფინალში იასპარეზა. ის ასევე ერთადერთი ქართველია, რომელმაც საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში შეაბიჯა. უამრავ უაზრო ჩარჩოში მოქცეულ საბჭოთა საქართველოში მეტრეველი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც დაუბრკოლებლად გადიოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ალექსანდრე მეტრეველს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უმაღლესი ჯილდო, „ქართული სპორტის რაინდის" ტიტული გადაეცა.